**ლოგოს პრესი**

# კატალოგი 2015

*ალმოაჩინე შენი წიგნი . . .*




გამომცემლობა ლოგოს პრესი

www.logospress.ge






## ხელოვნების ამბავი

### ე. ჰ. გომბრიხი

*მე-16 გადამუშავებული, გავრცობილი გამოცემა*

‘მსოფლიო ბესტსელერი
წიგნი ხელოვნებაზე’
*US News & World Report*

*ხელოვნების ამბავი* ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პოპულარული წიგნია ხელოვნების შესახებ, რომელიც ოდესმე გამოცემულა. 65 წლის განმავლობაში იგი რჩება სწორუპოვარ შესავლად მთელი საგნისთვის – უძველესი მღვიმის ფერწერიდან თანამედროვე ექსპერიმენტულ ხელოვნებამდე. მთელ მსოფლიოში ნებისმიერი ასაკისა და გამოცდილების მკითხველისთვის პროფესორი გომბრიხი ჭეშმარიტი ოსტატია, რომელშიც ერთმანეთს ერწყმის ცოდნა და სიბრძნე და რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული ნიჭით, გაუზიაროს მკითხველს უდიდესი სიყვარული ხელოვნების იმ ნიმუშების მიმართ, რომელთაც აღწერს.

*ხელოვნების ამბის* უჭკნობი პოპულარობის მიზეზი წერის ნათელი, მარტივი და გულწრფელი სტილია. ავტორი ამბობს, რომ მისი მიზანია “სიცხადე და წესრიგი შეიტანოს უამრავ სახელში, პერიოდსა და სტილში, რომლებითაც სავსეა უფრო ამბიციური ნაშრომები”, და იყენებს სახვითი ხელოვნების ფსიქოლოგიის საკუთარ ცოდნას, რათა დაგვანახოს ხელოვნების ისტორია, როგორც “ტრადიციების უწყვეტი შერწყმა და მონაცვლეობა, რომლის გამოც ყოველი ნაწარმოები წარსულსაც ხარკს უხდის და მომავლისკენაც ილტვის”, როგორც “ცოცხალი ჯაჭვი, რომელიც დღევანდელობას პირამიდების ხანასთან აკავშირებს”. ამ კლასიკური ნაშრომის განახლებული, მე-16 გამოცემა აპირებს გააგრძელოს “ტრიუმფული სვლა” მომავალი თაობებისათვის. იგი ნამდვილად საუკეთესო არჩევანი იქნება ყველასთვის, ვინც ხელოვნების სამყაროსთან შეხებას გადაწყვეტს.

ყდა: შეკეცილი
ფორმატი: 175X245
გვ. რაოდენობა: 688
ფასი: 55.00₾

ლოგოს პრესი
გამომცემლობა “ლოგოს პრესი”
ილია ჭავჭავაძის გამზ. 15ა, ტელ 291-51-01
www.logospress.ge
info@logospress.ge
Facebook: გამომცემლობა ლოგოს პრესი




ახალი!

## 50 საბავშვო ლექსი

„50 საბავშვო ლექსი" პირველი წიგნია სერიიდან „ქართული საუნჯე ბავშვებს". კრებულში შეხვდებით როგორც საბავშვო პოეზიის კლასიკად აღიარებულ ლექსებს, ისე თანამედროვე ავტორთა შემოქმედების ნიმუშებს. სახალისო ილუსტრაციებით გაფორმებული ეს წიგნი საუკეთესო საჩუქარია პატარებისთვის.

ასაკი: 3+
ყდა: მაგარი, ბალიშა
ფორმატი: 215X255
გვ. რაოდენობა: 104
ფასი: 19.90₾



## საბავშვო მოთხრობები

,,საბავშვო მოთხრობები” მეორე წიგნია სერიიდან „ქართული საუნჯე ბავშვებს“. კრებულში შეხვდებით როგორც საბავშვო პროზის კლასიკად აღიარებულ ლექსებს, ისე თანამედროვე ავტორთა შემოქმედების ნიმუშებს. სახალისო ილუსტრაციებით გაფორმებული ეს წიგნი საუკეთესო საჩუქარია პატარებისთვის.

ასაკი: 4+
ყდა: მაგარი, ბალიშა
ფორმატი: 215X255
გვ. რაოდენობა: 104
ფასი: 19.90₾




ახალი!



– დეე, ნახე, მადლობას მიხდის! – მიმიხვდა პატარა ბიჭი და გამიცინა.

მის თვალებში დიდი მზე დავინახე... გაოცებულმა ცას გავხედე. მზე ციდან დაგვყურებდა, მაგრამ არ შემშლია: ბიჭის თვალებშიც ენთო ისეთივე მზე და ის მზეც სითბოს ასხივებდა.

რა საოცარია სამყარო, არა?!

– დედა, შენ ხომ მეუბნებოდი, ადამიანები დაუნდობლები არიანო! არ არის მართალი! ხედავ, კეთილი ადამიანებიც ყოფილან!

86 87




ახალი!

## სულხან-საბას იგავები ყველაზე პატარებისთვის

პირველად საქართველოში – "ლოგოს პრესი" გთავაზობთ სულხან-საბა ორბელიანის იგავებს ყველაზე პატარებისთვის.
ეს უნიკალური გამოცემა განკუთვნილია 4-8 წლის ასაკის ბავშვებისთვის. ჩვენ მიერ შერჩეული იგავები იმგვარადაა ადაპტირებული, რომ მათში მოცემული სიბრძნე ყველაზე პატარებისთვისაც იყოს გასაგები.
აზიარეთ თქვენი პატარები სულხან-საბას სიბრძნეს!

ასაკი: 4+
ყდა: მაგარი, ბალიშა
ფორმატი: 215X255
გვ. რაოდენობა: 64
ფასი: 19.90₾






ნოე 2015

## ქართული მითები ყველაზე პატარებისთვის

“ქართული მითები ყველაზე პატარებისთვის” მეოთხე წიგნია სერიისა “ქართული საუნჯე ბავშვებს”.
ამ წიგნისთვის შეირჩა ათი ქართული მითი, რომელთა ადაპტირებული ვერსიები ყველაზე პატარებისთვისაც გასაგები და საინტერესო იქნება. ბავშვები შეხვდებიან ცნობილ მითოლოგიურ პერსონაჟებს, მათ შორის ამირანს, კოპალას, მინდიას, თამარ მეფესაც კი; გაეცნობიან წელიწადის დროების გაჩენასთან და სხვა მნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებულ მითებს და საუკუნოვან ლეგენდებს.

ასაკი: 4+
ყდა: მაგარი, ბალიშა
ფორმატი: 215X255
გვ. რაოდენობა: 104
ფასი: 22.90₾






## ეზოპეს იგავები

საგანგებოდ ბავშვებისთვის, ახლებურად მონათხრობი იგავების ამ კრებულში შეხვდებით ფრენაზე მეოცნებე კუს, ეჭვიან სახედარს, სრულიად გამორჩეულ ბატს და ბევრ სხვა ცხოველსა თუ ფრინველს.

ეზოპეს იგავები საუკეთესო გზაა ცხოვრების დიდი გაკვეთილების შესასწავლად, რაშიც ჩვენი მეგობარი ცხოველებისა და ფრთოსნების დაუვიწყარი თავგადასავლები დაგვეხმარება

ასაკი: 3+
ყდა: მაგარი, ბალიშა
ფორმატი: 224X285
გვ. რაოდენობა: 192
ფასი: 24.90₾

**ძმები გრიმები**

## რჩეული ზღაპრები

ზღაპრების მოსმენა ბავშვობის განუყოფელი ნაწილია. ეს მარადიული, ჯადოსნური ამბები სამუდამოდ რჩება მეხსიერებაში. ამ საუცხოო კოლექციაში გრიმების რჩეული, კლასიკური ზღაპრებია შესული. წაუკითხეთ ისინი თქვენს პატარას და მასთან ერთად შეაღეთ კარი ჯადოსნურსა და თავგადასავლებით აღსავსე სამყაროში. ეს წიგნი თქვენი მოგონებების საუნჯე იქნება!

ასაკი: 3+
ყდა: მაგარი, ბალიშა
ფორმატი: 215X255
გვ. რაოდენობა: 160
ფასი: 19.99₾






### პრინცესების საყვარელი ზღაპრები

შეაბიჯე ზღაპრებისა და თავგადასავლების ჯადოსნურ სამყაროში. თუ ჯერ კიდევ პატარა პრინცესა ხარ, სთხოვე მშობლებს წაგიკითხონ ეს ლამაზი ზღაპრები. თუ უკვე დიდი პრინცესა ხარ, შეგიძლია თავადაც იკითხო იმდენი, რამდენიც მოგესურვება. ,,პრინცესას საყვარელი ზღაპრები" საუკეთესო საჩუქარია ყველა ნამდვილი პრინცესასთვის.

ასაკი: 4+
ყდა: მაგარი
ფორმატი: 260X220
გვ. რაოდენობა: 304
ფასი: 29.90₾

## წიგნი რელიეფური ილუსტრაციებით




ასაკი: 3+
ყდა: მაგარი
ფორმატი: 306X306
გვ. რაოდენობა: 22
ფასი: ~~22.90₾~~ 14.99₾

### თოვლის პრინცესა

პატარები სრული სისავსით შეიგრძნობენ "თოვლის პრინცესას" ზღაპრულ სამყაროს ამ განსაკუთრებით დიდი ფორმატის წიგნით, რომელიც მრავალი ჯილდოს მფლობელი ილუსტრატორის, ლიზა ევანსის რელიეფური ნახატებითაა შემკული.

### პრინცესას სამაგიდო წიგნი

აღმოაჩინე პრინცესა საკუთარ თავში! პრინცესად ქცევა ნებისმიერ გოგონას შეუძლია. თქვენ ალბათ უკვე გრძნობთ კიდევაც რომ თქვენში პრინცესა იმალება, რომ განსაკუთრებული ხართ. საქმეც ეგაა, სწორედ ის წამი არ გამოგეპაროთ, როცა თქვენში მთვლემარე პრინცესა გამოიღვიძებს.... გულდასმით წაიკითხეთ ეს წიგნი, მისდიეთ რჩევებს და ადრე თუ გვიან თავად დარწმუნდებით – სწორედ პრინცესად ყოფილხართ დაბადებული!




ასაკი: 4+
ყდა: მაგარი
ფორმატი: 255X255
გვ. რაოდენობა: 24 + მრავალ-რიცხოვანი და მრავალფეროვანი ჩანართები
ფასი: 24.90₾

## განმავითარებელი წიგნები ყველაზე პატარებისთვის




ასაკი: 1+
ყდა: მაგარი,კოლოფი
ფორმატი: 250X231
ფასი: 27.90₾

### პრინცესას პაწია საგანძური

ციმციმა წიგნების ეს ლამაზი კრებული ცხრა მუყაოს მომცრო წიგნისგან შედგება, რომელთაც გოგონები მოხერხებულად დაიჭერენ პაწია ხელებში. ამ მომაჯადოებელი კრებულის წყალობით თქვენი პატარა ხალისით ისწავლის პირველ სიტყვებსა და რიცხვებს, გაეცნობა შინაურ ცხოველებს.
"პრინცესას პაწია საგანძური" საუკეთესო საჩუქარია პატარა პრინცესებისთვის. მასში ისინი ჯადოსნურ სასახლეებს, წვეულებებს, სამკაულებს და ბევრ სხვა რამეს აღმოაჩენენ.






ახალი

## ალერსიანი ამბები

მოკალათდით და წაუკითხეთ პატარებს კეთილი, მხიარული თავგადასავლები, დაათვალიერეთ ლამაზი ილუსტრაციები და დაუმეგობრდით წიგნის საყვარელ გმირებს.
ღიმილის მომგვრელი ლექსები და პატარა, სახალისო მოთხრობები კეთილ სიზმრებს და მშვიდ ძილს ჰპირდება ყველა მცირეწლოვან მკითხველს.

ასაკი: 2+
ყდა: მაგარი-ბალიშა
ფორმატი: 225X276
გვ. რაოდენობა: 176
ფასი: 16.90₾






იან 2016

## ვისწავლოთ ხატვა

ამ წიგნში 60-ზე მეტი სახალისო პროექტი და დეტალური ინსტრუქციებია. იგი მარტივად და სწრაფად შეგასწავლის ხატვის სხვადასხვა ტექნიკას: კოლაჟების კეთებას, კომიქსების ხატვას, ჩრდილის დადებას, ფერების შერევას... მათი გამოყენებით შეძლებ დახატო ყველაფერი, რაც კი მოგესურვება! წიგნში მოცემული პრაქტიკული რჩევების დახმარებით თავისუფალ დროს საინტერესოდ გაატარებ და კარგად გაერთობი!

ასაკი: 3+
ყდა: მაგარი
ფორმატი: 227X255
გვ. რაოდენობა: 96
ფასი: 16.90₾






## ნოეს კიდობანი

ამ სახალისო მაგნიტურ წიგნში მოთხრობილია ნოეს კიდობნის ამბავი. პატარები არა მხოლოდ ამბის მოსმენით ისიამოვნებენ, არამედ მაგნიტურ ფიგურებს შესაფერ ადგილებს მოუძებნიან და თითოეულ გვერდზე მოცემულ ფერადოვან სცენასაც დაასრულებენ. ლამაზი ილუსტრაციები და მარტივი ტექსტი ამ წიგნს ფართოდ ცნობილი ბიბლიური ამბის მშვენიერ შესავლად აქცევს.

ასაკი: 3+
ყდა: მაგარი
ფორმატი: 205X240
გვ. რაოდენობა: 10 + 22 მაგნიტური ფიგურა
ფასი: ~~12.99₾~~ 9.99₾





# შემეცნებითი




## პრინცესას პრაქტიკული გზამკვლევი

**აუცილებელი პრაქტიკული გზამკვლევი
ყველა გამოუცდელი პრინცესასთვის –
გეყო ოცნება, მოქმედების დროა!**

გადაწყვიტე, როგორი პრინცესა გინდა იყო, გაეცანი თანამედროვე პრინცესების პრობლემებს და ისწავლე მარტივი ხერხები, რომლებიც ყველას თვალში ნამდვილ პრინცესად გაქცევს!

ასაკი: 3+
ყდა: მაგარი
ფორმატი: 255X255
გვ. რაოდენობა: 24 + მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ჩანართები
ფასი: 24.90₾










### „ოქროს საწმისი“ და სხვა კლასიკური ბერძნული მითები

გაიცანი ღმერთები და ქალღმერთები, ადამიანები და ურჩხულები; მათთან ერთად თავგადასავლებით სავსე, ჯადოსნურ სამყაროში აღმოჩნდები! წიგნში ყველასათვის საყვარელი თორმეტი ბერძნული მითია წარმოდგენილი. მათ გმირებს შორის არიან: პანდორა თავისი ცნობილი ყუთით, იკაროსი თავისი ცვილის ფრთებით და, რა თქმა უნდა, ხარბი ორქროს მოყვარული მეფე მიდასი.

ასაკი: 6+
ყდა: მაგარი
ფორმატი: 250X275
გვ. რაოდენობა: 96
ფასი: 19.90₾








## ენციკლოპედია ყველაფრის შესახებ

ეს ენციკლოპედია უკიდეგანო სამყაროზეც მოგითხრობთ და პაწაწინა მწერებზეც, ისტორიაზეც და თანამედროვე ხელოვნებაზეც – მოკლედ, ყველაფერზე, რისი ცოდნაც შეიძლება გწყუროდეთ!
წიგნში 5 ძირითადი განყოფილებაა: სამყარო და პლანეტა დედამიწა; ბუნების სამყარო; ადამიანის სხეული; ისტორია; მეცნიერება და კულტურა. ენციკლოპედიას ერთვის ლექსიკონი და ფართო საძიებელი.
წიგნში მოყვანილია საინტერესო ფაქტები; უხვადაა ილუსტრირებული ფერადი სურათებით; ინფორმაცია ყველასთვის გასაგები ფორმით არის მოწოდებული... ახლის შეცნობა ნამდვილად სახალისო იქნება!

ასაკი: 8+
ყდა: მაგარი
ფორმატი: 215X270
გვ. რაოდენობა: 224
ფასი: 19.90 ₾

ოქტ 2015



## სერია "სამყარო"

64-გვერდიანი წიგნებისგან შემდგარი ეს შემეცნებითი სერია წარმოგიდგენთ შთამბეჭდავ ფაქტებსა და მონაცემებს სამყაროს უმნიშვნელოვანესი მოვლენების შესახებ, რომელთა ცოდნა თანამედროვე მოზარდისთვის აუცილებელია. ყდებს მიმზიდველობას მატებს ცენტრში მოთავსებული 3D გრაფიკული გამოსახულებები, რაც ამ სერიის წიგნებს შესანიშნავი საჩუქრის იერსაც ანიჭებს.

ასაკი: 7+
ყდა: მაგარი
ფორმატი: 224X224
გვ. რაოდენობა: 64
ფასი: 12.90












### ტოლკინის ჯადოსნური სამყარო

შენს ხელთ უნიკალური წიგნია. მისი კითხვისას აღმოაჩენ ჯადოსნურ და ზღაპრულ სამყაროს, რომელიც ერთიმეორეზე საკვირველი არსებებითაა დასახლებული. ეწვიე დედამიწის შუაგულში მდებარე, ჯადოქრობითა და უცნაური ამბებით სავსე იდუმალ ქვეყანას, რომელიც გამორჩეულმა მთხრობელმა, ინგლისელმა მწერალმა ჯ.რ.რ. ტოლკინმა გამოიგონა. გაიგე, როგორ იქცა ჰობიტი სმეაგოლი საშინელ არსებად – გოლლუმად. წაიკითხე დრაკონი სმაუგის და ადამიანი-დათვის, ბეორნის, თავგადასავლები! გადაფურცლე ეს წიგნი და მოიხიბლე ტოლკინის ჯადოსნური სამყაროთი! დაე, კითხვისას ელფების შუქი გინათებდეს!

ასაკი 7+
ყდა: მაგარი
ფორმატი: 246X327
გვ. რაოდენობა: 26 + ჩანართები, ბუკლეტები, ნივთების ნიმუშები და სხვა დამატებითი ელემენტები.
ფასი: ~~29.90~~ 14.90




## საკითხავი ილუსტრირებული წიგნი

### მისტერ მორის ლესმორის საოცარი მფრინავი წიგნები

“ბრწყინვალე ვიზუალური ნამუშევარი” – *ნიუ იორკ თაიმსი.*
“სულაც არ არის წარმოუდგენელი, რომ ... პატარა საბავშვო მოთხრობა *მისტერ მორის ლესმორის საოცარი მფრინავი წიგნები* ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ნაწარმოებად იქნეს მიჩნეული” – *ლონდონ თაიმსი.*

*მისტერ ლესმორის საოცარი მფრინავი წიგნების* აპლიკაციის მიმოხილვები




ასაკი: 6+
ყდა: მაგარი
ფორმატი: 300X210
გვ. რაოდენობა: 22
ფასი: 14.90




**ჭადრაკი ბავშვებისთვის**

ჭადრაკი იმიტომ გვიყვარს, რომ ეს სახალისო თამაშია.
ის ბრძოლასაც გვასწავლის და, ზოგადად, სწავლაშიც გვეხმარება.
როცა ამ წიგნს წაიკითხავთ, ყველაფერი გეცოდინებათ:

- ფიგურებსა და მათ სვლებზე (და კიდევ, პაიკების ჯადოქრობაზე);
- გამარჯვებისთვის აუცილებელ უამრავ ხერხსა და ეშმაკობაზე;
- საჭადრაკო შეჯიბრებებზე.

თამაშის უკეთ შესასწავლად რამდენიმე თავსატეხსაც გთავაზობთ.
ჩვენი წიგნის დახმარებით სულ მალე ნამდვილი მოჭადრაკეები გახდებით!

ასაკი: 4+
ყდა: მაგარი
ფორმატი: 190X246
გვ. რაოდენობა: 128
ფასი: 14.90 ₾









## ააწყვე ტირანოზავრი რექსი

ამ უნიკალური, ინტერაქტიური მეგზურის მეშვეობით ტირანოზავრ რექსის მოდელს ააწყობ და ყველა ტიპის დინოზავრის შესახებ საინტერესო ფაქტებს შეიტყობ. როგორ იყენებდა თავის დიდ ყბებსა და წვეტიან კბილებს ტირანოზავრი რექსი ნადავლზე თავდასხმისას? როგორ ერთიანდებოდნენ პატარა მტაცებელი დინოზავრები დიდ დინოზავრებზე თავდასასხმელად? რომელი დინოზავრი დარბოდა 60 კმ/სთ სიჩქარით?
ააწყვე ტირანოზავრი რექსი და იპოვე პასუხი ყველა ამ და სხვა მრავალ შეკითხვაზე!

ასაკი: 7+
ყდა: მაგარი
ფორმატი: 190X363
გვ. რაოდენობა: 32+
მოდელის 49 ნაწილი
ფასი: 27.90 ₾

**ასაწყობი მოდელი**
**უბრალოდ შეაერთე ნაწილები.**
**მაკრატელი და წებო საჭირო არ არის!**



## განმავითარებელი წიგნი + 3D სათვალე




## შექმენი ცხოველები ფერებით

აქტივობების წიგნების ამ ახალი ინოვაციური სერიის თითოეულ წიგნში 2000-ზე მეტი სტიკერია, ასევე ყოველ წიგნს მოჰყვება 3-D სათვალე. მოხერხებული გზამკვლევი ნაბიჯ-ნაბიჯ უხსნის ბავშვებს, როგორ შექმნან სურათები მრავალგვარი ფორმების გამოყენებით, ალვივებს მათში შემოქმედებით უნარებს აქტივობათა ბარათებისა და ფერადი სტიკერების მეშვეობით. 3-D სათვალის წყალობით კი მათი ნამუშევრები წიგნის გვერდებზევე სიცოცხლეს შეიძენს!

ასაკი: 5+
ყდა: მაგარი
ფორმატი: 282X282
გვ. რაოდენობა: 66
2000-ზე მეტი სტიკერი
+ 3D სათვალე
ფასი: 24.90 ₾




სექ 2015

**მანქანები**
**ისტორია და ფაქტები**

გაუყევი გზას და გაეცანი 50 გამორჩეულ მანქანას, 1908 წლის „ფორდის“ „მოდელ T“-თი დაწყებული და 2013 წლის „როლს-როისის“ „ვრეიტით“ დამთავრებული. კოლექციონერის გზამკვლევი თითოეული ავტომობილის შესახებ მოგიყვება...

ასაკი: 4+
ყდა: მაგარი
ფორმატი: 222X297
გვ. რაოდენობა: 116
ფასი: 29.90 ₾









## მიყვარხარ, დედიკო

"სინაზით სავსე ეს მშვენიერი წიგნი ვერც ერთ დედას ვერ დატოვებს გულგრილს." მასში იმ სითბოსა და გულწრფელ სიყვარულზეა მოთხრობილი, დედასა და შვილს რომ აკავშირებს. ეს გრძნობა ხომ ასე
ნაცნობია – დილას ჩახუტებისას თუ საღამოს ძილისპირულის მოსასმენად მოკალათებისას იმის შეგრძნება, რომ თქვენი პატარა თავს მშვიდად და ბედნიერად გრძნობს. ისიამოვნეთ ყველაზე ნათელი გრძნობის, დედობრივი სიყვარულის, განცდით ამ მომხიბლავ წიგნთან ერთად!

ასაკი: 3+
ყდა: მაგარი, ბალიშა
ფორმატი: 250X250
გვ. რაოდენობა: 32
ფასი: 9.90₾




## გილოცავთ შვილის შეძენას

ეს პატარა წიგნი ეძღვნება ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენას – ბავშვის დაბადებას. არაფერია ამაზე უფრო სულისშემძვრელი, განსაცვიფრებელი, გამაოგნებელი. ცხოვრება ძველებური აღარასოდეს იქნება! გილოცავთ შვილის შეძენას არის წიგნი ამ განსაკუთრებული მოვლენის შესახებ. ის იდეალური საჩუქარი იქნება საიმისოდ, რომ ბედნიერ წყვილს უთხრათ: "გილოცავთ", "ბედნიერი ყოფილიყავით", "დატკბით ყოველი წამით"!

ყდა: მაგარი
ფორმატი: 110X150
გვ. რაოდენობა: 30
ფასი: ~~9.90₾~~ 4.99₾




პრემია გალას
2011 წლის
გამარჯვებული
ნომინაციაში
წლის საუკეთესო
საბავშვო წიგნი

## ნისლებში და ნისლებს მიღმა

### ნატო დავითაშვილი

**ქართულ მითოლოგიაზე დაფუძნებული ფენტეზი**

როცა ცა და დედამიწა გაყრილები არიან, გზა არ გზობს და კაცთა მოდგმა მტერსაც კი აღარ მიაჩნია მეტოქედ, სამყაროს უკანასკნელ იმედად მთებში ჩაკარგული პატარა სოფელი, უტეხი სულის მოხუცი მუსიკოსი და გულადი ბიჭი დარჩენია – ნისლებშიც და ნისლებს მიღმაც მხოლოდ რჩეულთ უწერიათ ადამიანთა გადარჩენაზე ზრუნვა. ასე მოიაზრა მწერალმა ნატო დავითაშვილმა ქართულ მითოლოგიაზე დამყარებული ფენტეზის ჟანრის კიდევ ერთი წიგნი. მკითხველი გულგრილი ვერ დარჩება ახალი გმირების მიმართ, რომელთა ძალისხმევაზეა დამოკიდებული, შეძლებს თუ არა ადამიანთა მოდგმა ვერაგი ნისლეულისგან თავის დაღწევას.

**ელ.წიგნი** ხელმისაწვდომია ელექტრონული ფორმატითაც

www.lit.ge
www.saba.com.ge

ასაკი: 10+
ყდა: მაგარი
ფორმატი: 150X222
გვ. რაოდენობა: 318
ქაღალდის წიგნის ფასი: 11.90
ელ. წიგნის ფასი: 3.99

## ტრაგედია




ფასი: 1.99
www.lit.ge
www.saba.com.ge

**მხოლოდ ელ.წიგნი**

**ევრიპიდე**
**მედეა**

ევრიპიდეს "მედეა" მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე უფრო ცნობილ დრამას წარმოადგენს. ქართველებისთვის "მედეას" მნიშვნელობა იმითაცაა განსაკუთრებული, რომ ევრიპიდემ შეძლო ბერძნული მითოსიდან ცნობილი კოლხი პერსონაჟი მსოფლიო დრამის ერთ-ერთ უპოპულარულეს სახედ ექცია.

## თანამედროვე პროზა

### შიშველი მეფე

**რატი რატიანი**




დინჯი, აუღელვებელი თხრობა, დეტალიზაციის შესაშური სიზუსტე და რთული სინტაქსური კომპოზიცია – ეს ელემენტები შეადგენენ ნამდვილ პროზას, რომელიც მოკლებულია ფსევდოიმპრესიონისტურ ჩანახატურობასა და მოყირჭებულ ნატურალიზმს (ქალაქური სლენგით დაწყებული, სხვადასხვა კილოკავებით დამთავრებული), რაც უკვე მრავალია წელია ქართული მცირე პროზის ავადსახსენებელ "სავაჭრო ნიშნად" იქცა. რატი რატიანი იმ იშვიათ გამონაკლისებს მიეკუთვნება, ვინც თხრობის მკვეთრად ინდივიდუალურ სტილს მიაგნო, რომელიც ზუსტად ერგება მისი მოთხრობების "ურბანულ" თემატიკას.

*—დავით გაბუნია*

**მხოლოდ ელ.წიგნი**

ფასი: 1.99
www.lit.ge
www.saba.com.ge




წიგნში შესულია ორი კომედია: aqarnelebi da mxedrebi.

მხოლოდ ელ.წიგნი




წიგნში შესულია ორი კომედია: Rrublebi da krazanebi.




წიგნში შესულია ორი კომედია: mSvidoba da frinvelebi.

მხოლოდ ელ.წიგნი




წიგნში შესულია ორი კომედია: lisistrate da qalebi Tesmoforiebis dResaswaulze.

არისტოფანე ძველი ბერძნული კომედიის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია. როგორც პოლიტიკური კომედიის ავტორი, იგი ჩვენთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხატვრული წყაროა მსოფლიოში პირველი, ძველი ბერძნული დემოკრატიის არსის გასაგებად.
მთარგმნელი ლევან ბერძენიშვილი არის კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტი და არისტოფანეს ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე საქართველოში. არისტოფანეს კომედიები სრულად პირველად ქვეყნდება ქართულ ენაზე.

ფასი: 3.99
www.lit.ge
www.saba.com.ge

ელ.წიგნი ხელმისაწვდომია ელექტრონული ფორმატითაც

ყდა: რბილი, შეკეცილი
ფორმატი: 142X207
გვ. რაოდენობა: 308
ქაღალდის წიგნის ფასი: 11.90
ელ. წიგნის ფასი: 5.99

# ესეისტიკა




**ოთარ ჭილაძე**
## ბედნიერი ტანჯული

ფასი: 3.99
www.lit.ge
www.saba.com.ge

**მხოლოდ ელ.წიგნი**

ოთარ ჭილაძის *ბედნიერი ტანჯული* სხვადასხვა დროს (1968-2002) ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხისადმი მიძღვნილი ესეების, პუბლიცისტური წერილებისა და ინტერვიუების კრებულია. ერთ წიგნში თავმოყრილთ მათ პირველად ეცნობა ქართველი მკითხველი.

# ბიოგრაფიულ-მემუარული




## ალექსანდრე ჭავჭავაძის შთამომავლობა
**ლია კიკნაძე**

ფასი: 3.00
www.lit.ge

**მხოლოდ ელ.წიგნი**

წიგნი მოგვითხრობს ალექსანდრე ჭავჭავაძის, მისი წინაპრებისა და შთამომავლების ცხოვრების შესახებ. გამოყენებულია სხვადასხვა მუზეუმებში თუ ოჯახებში დაცული უნიკალური საარქივო დოკუმენტაცია და ფოტომასალა.




## მოგონებები გალაკტიონზე
**აკაკი ხინთიბიძე**

აკაკი ხინთიბიძის მოგონებები და ჩანაწერები გალაკტიონზე.

ფასი: 1.99
www.lit.ge
www.saba.com.ge

**მხოლოდ ელ.წიგნი**

**მხოლოდ ელ.წიგნი**

ფასი: 2.99
www.lit.ge
www.saba.com.ge




## პოლიტიკური ჭადრაკი
**ალექსანდრე ჩიკვაიძე**

ამ მემუარული ხასიათის წიგნს ლაიტმოტივად გასდევს ავტორის აზრი, რომ დიპლომატიურ სარბიელზე პროფესიონალიზმი უპირველესად პატიოსან, ადამიანურ მიდგომებსა და ურთიერთობებს გულისხმობს.




ფასი: 2.99

**მხოლოდ ელ.წიგნი**




ფასი: 2.99

**მხოლოდ ელ.წიგნი**




ფასი: 1.99

**მხოლოდ ელ.წიგნი**




## ადამიანის ბედი თანამედროვე სამყაროში

ნიკოლოზ ბერდიაევი

ბერდიაევის ამ შედევრის გამოქვეყნებიდან რვა ათეული წელი გავიდა, ისტორიული კატაკლიზმებითა და დრამატული მოვლენებით სავსე შვიდი ათეული წელი. წიგნში დასმული ბევრი პრობლემა, ავტორის იმედისა და მოლოდინის საპირისპიროდ, კვლავაც გადაუჭრელი რჩება.

**მხოლოდ ელ.წიგნი**

ფასი: 3.99
www.lit.ge
www.saba.com.ge

## ლექსიკონები/ცნობარები




ფასი: 2.99




ფასი: 3.99

**მხოლოდ ელ.წიგნი**

www.lit.ge
www.saba.com.ge

## პოლიტოლოგია

ყდა: რბილი
ფორმატი: 130X201
გვ. რაოდენობა: 278
ქაღალდის წიგნის ფასი: 9.90
ელ. წიგნის ფასი: 4.99




### ნაციონალური იდენტობა

**ენტონი დ. სმითი**

წიგნი ეძღვნება თანამედროვეობის ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა თანამედროვე ერი-სახელმწიფო და დასავლეთი, ნაციონალიზმი და ეთნიკური კონფლიქტები... თავის არგუმენტაციას ავტორი მაგალითების თანხლებით წარმოადგენს, ყურადღებას ამახვილებს ნაციისადმი მყარი ერთგულების როგორც პოზიტიურ, ისე საზიანო ასპექტებზე; პროვოკაციულ უკანასკნელ თავში კი პოსტ-ნაციონალური მსოფლიოს პერსპექტივებს განიხილავს.

**მხოლოდ ელ.წიგნი**

www.lit.ge
www.saba.com.ge

ავტორის შესახებ: ენტონი დ. სმიტი არის ლონდონის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორი ლონდონის ეკონომიკის სკოლაში.